




საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო
MINISTRY OF EDUCATION AND SCIENCE OF GEORGIA

სსიპ – მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი
LEPL – NATIONAL CENTER FOR TEACHER PROFESSIONAL DEVELOPMENT



MES 8 21 0001257311

22/11/2021

ფაქტ - მეტრის რედაქტორს
მალხაზ რეხვიაშვილს

ბატონო მალხაზ,

სსიპ - მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნულმა ცენტრმა განიხილა თქვენი განცხადება (ცენტრში განსახილველად რეგისტრაციის N1227398; 18.11.2021წ) რომლითაც ითხოვდით გარკვეული ინფორმაციის მიწოდებას.

სსიპ - მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის კომპეტენციის ფარგლებში წარმოგიდგინებ კორესპონდენციით მოთხოვნილ ინფორმაციას.

დღეის მდგომარეობით, საქართველოს საჯარო სკოლებში მუშაობს - 52311 მასწავლებელი. მათ შორის: მენტორი - 266, წამყვანი - 7645, უფროსი - 33652 და პრაქტიკოსი - 3660.

2018-2021 წლებში მინიმალური კომპეტენცია დაადასტურა:

ჩატარების წელი	საგანში	უნარში
2018 წელი	5296	5090
2019 წლის ზაფხული გამოცდა	8471	7812
2019 წლის შემოდგომის გამოცდა	4543	4395
2021 წელი	2454	1772

ყველაზე დაბალი შედეგი დაფიქსირდა:

2018 წელი - ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები;

2019 წლის ზაფხული - დაწყებითი 1-4 ;

2019 წლის შემოდგომა - დაწყებითი 1-4 ;

2021 წელი - ქართული 1-6 ;

ამასთან, გაცნობებთ, რომ "მასწავლებლის საქმიანობის დაწყების, პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემის დამტკიცების შესახებ" (შემდგომში სქემა) საქართველოს მთავრობის 2015 წლის 20 თებერვლის N68 დადგენილების შესაბამისად, 2015 წლის იანვრის მდგომარეობით, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში დასაქმებულ პირებს, რომლებიც ვერ აკმაყოფილებდნენ უფროსი, წამყვანი ან მენტორი მასწავლებლის სტატუსის მოსაპოვებლად განსაზღვრულ პირობებს,

მიენიჭათ პრაქტიკოსი მასწავლებლის სტატუსი. 2015 წლიდან დღემდე, სქემაში განხორციელდა მთელი რიგი ცვლილებები, რათა პრაქტიკოს მასწავლებლებს მისცემოდათ სხვადასხვა საშუალება წინსვლისათვის, კერძოდ: 2015 წელი - პრაქტიკოსი მასწავლებლის სტატუსი მქონე პირებს განესაზღვრათ მაქსიმუმ ოთხწლიანი (3 წელი + 1 პილოტირების წელი) ვადა სტატუსის მოსაპოვებლად. სტატუსის მოსაპოვებლად, სხვა აქტივობებთან ერთად, პრაქტიკოს მასწავლებლებს ჰქონდათ ვალდებულება, ჩაებარებინათ საგნის გამოცდა (გადაელახათ 60%-იანი ზღვარი); 2017 წლის 26 იანვრის N35 დადგენილებით, შეიცვალა სტატუსის მინიჭების გზები. კერძოდ, მათ მიეცათ საშუალება, ნაწილობრივ დაედასტურებინათ საგნობრივი და პროფესიული უნარების კომპეტენცია 1, 4, 7 ან 10 კრედიტულაზე და საჭირო 19 კრედიტულას შეეცვებდნენ სხვა აქტივობებით. მასწავლებლების მიერ განხორციელებული აქტივობები (საგნობრივი და პროფესიული უნარების კომპეტენციის დადასტურების გარდა) ფასდებოდა და მათ კრედიტულები ენიჭებოდათ სკოლის შეფასების ჯგუფის მიერ;

საგნობრივი და პროფესიული კომპეტენციების დასადასტურებელი ტესტის მაქსიმალური ქულის %	კრედიტულა
60-დან ზემოთ	10
50-დან 60-მდე	7
40-დან 50-მდე	4
30-დან 40-მდე	1

2019 წელს მასწავლებლის საგნობრივი და პროფესიული კომპეტენციის დადასტურების გამოცდა ჩატარდა 2-ჯერ - ზაფხულში და შემოდგომაზე (წინა წლებში ტარდებოდა ერთხელ). ასევე, მათ 2-2-ჯერ მიეცათ შესაძლებლობა აეტვირთათ და გამოექვეყნებინათ სკოლის ბაზაზე განხორციელებული აქტივობები, ხოლო სკოლის შეფასების ჯგუფებს ჰქონდათ საშუალება მიენიჭებინათ კრედიტულები და წარედგინათ წინადადება კონკრეტული მასწავლებლისთვის სტატუსის მინიჭების შესახებ.

"მასწავლებლის პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემის დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2019 წლის 23 მაისის N241 დადგენილებაში 2020 წელს შეტანილი ცვლილების მიხედვით, იმ მასწავლებლებს, რომლებიც 2020 წლის 30 იანვრის მდგომარეობით იყვნენ პრაქტიკოსი მასწავლებლები და 2020 წლის 30 აპრილამდე დარეგისტრირდნენ გამოცდაზე საგნობრივი და პროფესიული კომპეტენციის დასადასტურებლად, მიეცათ შესაძლებლობა, კვლავ ნაწილობრივ დაედასტურებინათ კომპეტენცია (1, 4, 7, 10 კრედიტზე), გამოცდაზე უკეთესი შედეგის მიღების (დაიშვა პრეცედენტი, შეენარჩუნებინათ წინა წლებში მიღებული უკეთესი შედეგები) და 5 კრედიტიანი ტრენინგის წარმატებით გავლის გზით შეეცვსოთ 19 კრედიტულა და შეეცვალათ სტატუსი.

იმ მასწავლებლებს, რომლებიც 2020 წლის 30 იანვრის მდგომარეობით იყვნენ პრაქტიკოსი მასწავლებლები და არ მიეცათ 2020 წლის ზაფხულში გამოცდაზე გავლის შესაძლებლობა (არსებული პანდემიური მდგომარეობის გამო), გაუხანგრძლივდათ სკოლაში მოღვაწეობის პერიოდი 2021-2022 სასწავლო წლის დაწყებამდე.

გამომდინარე იქიდან, რომ 2021 წლის ზაფხულში მასწავლებლის საგნობრივი და პროფესიული კომპეტენციების დადასტურების გამოცდები ჩატარდა პანდემიურ გარემოში, რამაც გაახანგრძლივა გამოცდის პერიოდი და საბოლოო შედეგების გამოცხადება, "მასწავლებლის პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემის დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2019 წლის 23 მაისის N241 დადგენილებაში შევიდა ცვლილება, რომლის მიხედვითაც, იმ მასწავლებლებს, რომლებიც 2020 წლის 30 იანვრის მდგომარეობით იყვნენ პრაქტიკოსი მასწავლებლები და დარეგისტრირებულნი იყვნენ გამოცდაზე და ზემოაღნიშნული გზით ვერ შეძლეს 19 კრედიტის მოპოვება, შეუწყდათ სტატუსი, თუმცა საშუალება მიეცათ, საქმიანობა გაეგრძელებინათ 2021-2022 სასწავლო წლის პირველი სემესტრის ბოლომდე.

ზემოხსენებული შესაძლებლობების გათვალისწინებით, იმ პრაქტიკოსი მასწავლებლების სამუშაო ადგილზე, რომლებიც 2021-2022 სასწავლო წლის დაწყებამდე გავლენ საგნის ან/და პროფესიული უნარების გამოცდაზე და ვერ აიმაღლებენ სტატუსს, სკოლის ადმინისტრაცია 2021-2022 სასწავლო წლის მეორე სემესტრის დაწყებამდე არაუგვიანეს 1 თვისა აცხადებს კონკურსს. ასევე აღსანიშნავია, რომ მასწავლებლის ვაკანტური პოზიციის შეუვსებლობის შემთხვევაში, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება, საჭიროებიდან გამომდინარე, უფლებამოსილია პრაქტიკოსი მასწავლებელი, რომელიც 2020 წლის 1 თებერვლიდან 2020 წლის 30 აპრილის ჩათვლით დარეგისტრირდა მასწავლებლის გამოცდაზე, დაასაქმოს მოცემულ პოზიციაზე, ვაკანსიის შევსებამდე, უსტატუსოდ.

პატივისცემით,

სსიპ-მასწავლებელთა პროფესიული განვითარების
ეროვნული ცენტრის
საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის
უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირი

ოქროპირიძე ირმა